+

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის -------მარტი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ანგარიში 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა _____ მ. ბერაძე

შეთანხმებულია _____ ლ. ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სპორტული კლუბების გაერთიანება

5400 წყალტუბო, რუსთაველის ქ.№6
☎ (0-436) 22 01 06, მობ. 577 61 64 37

Email: tskaltubossportuliklubebi@gmail.com

SPORT S CLUBS ASSOCIATION OF
TSKALTUBO MUNICIPALITY

Rustaveli №6 str, Tskhaltubo 5400
☎ (0-436) 22 01 06, Mob. 577 61 64 37

Email:tskaltubossportuliklubebi@gmail.com

N 125/11
11/03/2022

11-125-2-202203111239

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ წარმოგდგენთ 2021 წლის III - IV კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი კუჭავა

მმართველი
ა(ა)ი.პ. "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბები"

ა(ა)იპ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ III-IV კვარტალში 2021წელი

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებაში“ 2021 წელს III-IV კვარტალში ირიცხებოდა 53 საშტატო ერთეული; აქედან ადმინისტრაციული აპარატის 24 საშტატო ერთეული, მთავარი მწვრთნელი -1; უფროსი მწვრთნელი-6; წამყვანი მწვრთნელ-კოორდინატორი - 1; უფროსი მწვრთნელ-კოორდინატორი -2 ; მწვრთნელი -19. ორგანიზაციაში მოწვეულია ხელშეკრულებით მოთამაშე 24 მორაგბე სპორტსმენი. სპორტული კლუბების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 4 კლუბი: ხელბურთის, ფრენბურთის, სარაგბო და ფალავანთა კლუბი; ასევე ფუნქციონირებს კალათბურთის, მძლეოსნობის, მკლავჭიდის, კრივის, ქართული ჭიდაობის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის და ჭადრაკის სექციები. სპორტულ კლუბებში და სექციებში მომეცადინე სპორტსმენთა რაოდენობა ითვლის 420 სპორტსმენს.

სპორტული საწვრთნელო მეცადინეობები ტარდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა დარბაზებსა და სპორტულ მოედნებზე, კერძოდ:

შანიძის ქ. #1 -ში მდებარე დარბაზი - ბ/რ ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა.

სპორტის სასახლე: - კალათბურთი, ხელბურთი, მკლავჭიდი, კრივი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ძალოსნობა.

#2 საჯარო სკოლა - მძლეოსნობა, რაგბის ერთი ჯგუფი

მაღლაკის # 1 საჯარო სკოლა - ფრენბურთი

საყულიის საჯარო სკოლა - ძიუდო

სასულიერო გიმნაზია - მაგიდის ჩოგბურთი

გეგუთის საჯარო სკოლაში - ფრენბურთი

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2021 წელის III-IV კვარტალში ბიუჯეტის გეგმით გამოყოფილი იყო: 1. სუბსიდია 258889ლარი 2. არაფინანსური აქტივები 4500ლარი 3. საკუთარი სახსრები 3925 ლარი.

ბიუჯეტის ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

1. თანამდებრობრივი სარგო გეგმა - 117111 ლარი, ფაქტიურად 117111 ლარი;

2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 77130.50 ლარი, ფაქტიურად 77130.50 ლარი;
3. მივლინება ქვეყნის შიგნით გეგმა - 3100 ლარი, ფაქტიურად 3100ლარი;
4. საკანცელარიო გეგმით - 266 ლარი, ფაქტიურად 266 ლარი;
5. სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟების ხარჯი გეგმა - 6104,80 ლარი, ფაქტიურად 6104,80 ლარი;
6. ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი გეგმა - 880 ლარი, ფაქტიური 880ლარი;
7. რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გეგმა - 1000 ლარი, ფაქტიურად 1000 ლარი;
8. ადგილობრივი ტელეფონი და ინტერნეტი გეგმა - 1646,98ლ. ფაქტიურად 1646,98ლ;
9. კომუნალური მომსახურება გეგმა - 4175,83 ლარი, ფაქტიურად 4175,83 ლარი;
10. სამედიცინო ხარჯი გეგმა - 2701 ლარი, ფაქტიური ათვისება 2701ლარი;
11. რბილი ინვენტარი და უნიფორმა გეგმა - 2100ლარი, ფაქტი 2100ლარი;
12. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი გეგმა - 2354,28 ლარი, ფაქტიურად 2354,28ლარი;
13. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი გეგმა - 5958,91ლარი, ფაქტიურად 5958,91ლარი;
14. სპორტული ღონისძიებების ხარჯი გეგმა -16682 ლარი, ფაქტიური 16682 ლარი;
15. ლიცენზიები (ფედერაცია) გეგმა - 570 ლარი, ფაქტიურად 570ლარი;
16. საქმისწარმოების ელ.სისტემის მომსახურეობა გეგმა - 336 ლარი, ფაქტი 336ლარი;
17. სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოები გეგმით - 800 ლარი; ფაქტი 800ლარი;
18. სხვადასხვა საამშენებლო-სარემონტო მასალების შეძენა გეგმით - 330.50 ლ, ფაქტი 330.50ლარი;
19. ტენდერის ხარჯი გეგმა - 50 ლარი, ფაქტი 50 ლარი;
20. სპორტსმენთა საწვრთნელი შეკრება - 4951,80 ლარი, ფაქტი 4951,80 ლარი;
21. საშობაო განათება გეგმა - 2000 ლარი, ფაქტი 2000ლარი;
22. სპორტული ღონისძიებები (სუბსიდია საზღვარგარეთ) გეგმა - 8640ლარი; ფაქტი 8640ლარი;

არაფინანსური აქტივები:

23. სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული გეგმა - 4500ლარი, ფაქტი 4500ლ

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებამ“ სუბსიდიის გარდა მიიღო სხვა შემოსავალიც, სპორტის სასახლეში არსებული სპორტული მოედნის გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა 2021წელის III-IV კვარტალში შეადგინა 4199 ლარი. აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნა სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ სპორტსმენებმა 2021 წლის III-IV კვარტალში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებსა და საქართველოს ჩემპიონატებში. შედეგების მიხედვით ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გერმნულ რომაული ჭიდაობა: დ. კირტავა, მ. ჭონიშვილი

2-4 ივლისი 2021წელი ქუთაისი

ი. ბობოხიძისა და ჯ. კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლოკურ ტურნირი

I-ადგილი- ნიკოლოზ თევდორაძე 35კგ

I-ადგილი- საბა ჯიმშელეიშვილი 50კგ

II - ადგილი - დემური კირტავა 32 კგ

III - ადგილი - ნოდარი ნაჭყეპია 72კგ

III - ადგილი - სანდრო შვანგირაძე 48კგ.

2021 წლის 3 აგვისტოს

ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადა

I I - ადგილი - იაკობ ქაჯაია

მსოფლიოს ჩემპიონატი ნორვეგია ქ. ოსლო 8-10 ოქტომბერი

I I I - ადგილი - იაკობ ქაჯაია

22-23-24 ოქტომბერი 2021 წელი ქ.ქუთაისი

დამსახურებული მწვრთნელის გ.მარუაშვილის რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში

II - ადგილი - დათო კოპალიანი

II-ადგილი - ილია ცხადაძე

III - ადგილი - თედო ჭონიშვილი

III - ადგილი - დემური კირტავა

III-ადგილი - ლევანი ვარდანიძე

14/16 ნოემბერს 2021 წელი ქ.ხაშური

რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობა

II - ადგილი - ილია ცხადაძე

II - ადგილი - დავით კოპალიანი

ძიუდო : ლ.ბზიკაძე ტ.გველესიანი

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მერვე საკლუბო ჩემპიონატი

I- ადგილი - მათე გველესიანი

II-ადგილი - საბა გველესიანი

II - ადგილი - ლუკა ომანაძე

III - ადგილი - ლუკა შვანგირაძე

12-13-14 ნოემბერს 2021 წელს ქ. თბილისში

ავთანდილ ჭრიკიშვილის საკლუბო ჩემპიონატი

60 გუნდიდან ჩვენი გუნდი გავიდა მეხუთე საპრიზო ადგილზე.

ქართული ჭიდაობა: გ. ზურაბიანი

21 ნოემბერს 2021 წელი ქ.ცაგერში

კობა ქომეთიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

I - ადგილი - მათე გველესიანი

II - ადგილი - ნიკა ამბროლიანი

ძალოსნობა: გ. მამიაშვილი, ა. მამიაშვილი

II - ადგილი- ხვიჩა ჯოხაძე

III -ადგილი- გიორგი ჩიხლაძე, ზურამ იოსელიანი, მიხეილ ახალაძე.

19-22 ნოემბერს 2021 წლის ქ.დუშეთი

საქართველოს ჩემპიონატი

I - ადგილი- მარიამი მაისურაძე საქართველოს ჩემპიონი

III - ადგილი - ლუკა ქაშიბაძე

მაგიდის ჩოგბურთი:გაგა უშვერიძე

19-20-21 ნოემბერს 2021 წელს ქ.წყალტუბოში

წყალტუბოს ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში

II - ადგილი- ნიკა უშვერიძე

III -ადგილი- დავითი ავალიანი

რაბის კლუბი - ,,დინოზავრი" მწვრთნელი: ზაზა ჩირგაძე

26.09.2021წელი ქ.ვანი

,,სამტრედია"-00:57 ,,დინოზავრი"

03.10.2021 წელი ქ. ქუთაისი

,,წყალტუბო“ – 69:00 ,,ზუგდიდი“

10.10.2021 წელი ქ.ფოთი

,,ფოთი“ -16:12 ,, წყალტუბო“

16.10.2021 წელი ქ. ქუთაისი

,,წყალტუბო“ -27:17 ,,ქედა“

30.10. 2021 წელი ქ. თერჯოლა

,,ზესტაფონი: - 07:31 ,,წყალტუბო“

06.11.2021 წელი ქ. ქუთაისი

,,წყალტუბო“_ 66:10 ,,ვანი“

14.11. 2021 წელი ქ. ჭიათურა

,,ჭიათურა“- 38:20 ,,წყალტუბო“

პატივისცემით:

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სპორტული კლუბების გაერთიანების“

მმართველი: /ი. კუჭავა/